(სსმ III, 0106.09.2010 N 62 მუხ. 924)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
430.210.000.22.022.012.691

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 44
2010 წლის 31 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წელს პირველ კლასში ჩასარიცხ ბავშვთა მინიმალური ასაკის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 12 სექტემბრის N 780 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წელს პირველ კლასში ჩასარიცხ ბავშვთა მინიმალური ასაკის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 12 სექტემბრის N 780 ბრძანებაში (სსმ III, 18.09.2008წ., N 138 მუხ. 1359) და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წელს პირველ კლასში ჩაირიცხებიან ბავშვები, რომლებსაც 6 წელი შეუსრულდებათ შესაბამისი სასწავლო წლის დასრულებამდე.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი